

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება N40

2010 წლის 14 იანვარი ქ. თბილისი

კერძო დაცვის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისა და
პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

„კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:** (3.04.2017 N 172 გავრცელდეს 2017 წლის 20 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. დამტკიცდეს თანდართული „კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი“.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

კერძო დაცვის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისა და
პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი

მუხლი 1

აღნიშნული წესი განსაზღვრავს:

ა) კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილებას;

ბ) კონტროლის განხორციელების საშუალებებსა და ფორმებს;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და დაჯარიმების შესახებ ბრძანების ტიპურ ფორმებს (დანართი № 1 და დანართი № 2).

გ¹) კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლის ნიმუშებისათვის დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს (დანართი N3); (31.12.2013 N1004)

დ) პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2 (3.04.2017 N 172 გავრცელდეს 2017 წლის 20 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

კერძო დაცვით საქმიანობაზე (შემდგომში – დაცვითი საქმიანობა) კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის

დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – ინსპექტირების სამმართველოს (შემდგომში – სამმართველო) მეშვეობით.

მუხლი 3 (3.04.2017 N 172 გავრცელდეს 2017 წლის 20 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით სამმართველო უფლებამოსილია, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით:

ა) შეამოწმოს დაცვითი ორგანიზაციისა და მცველის საქმიანობა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან გამოითხოვოს დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტები (ინფორმაცია) „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების შემოწმებისათვის;

გ) შეაგროვოს ცნობები და მტკიცებულებები;

დ) მოსთხოვოს დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს მცველის მოწმობა;

ე) შეამოწმოს „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-20 მუხლებით, ასევე 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობა;

ვ) შეამოწმოს მცველთა კარტოთეკისა და პირადი ბარათების წარმოების ვალდებულების შესრულების მდგომარეობა;

ზ) შეამოწმოს „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულების შესრულების მდგომარეობა;

თ) შეამოწმოს მცველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ვალდებულების შესრულების მდგომარეობა;

ი) მიიღოს და სათანადო წესით აღრიცხოს კერძო დაცვითი ორგანიზაციიდან მიღებული შეტყობინება;

კ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება;

ლ) საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს სამართალდარღვევის აუდიო-ვიდეოჩაწერა და ფოტოგადაღება;

მ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დეპარტამენტის დამატებითი ძალების გამოძახება;

ნ) შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გამოსცეს ბრძანება დაჯარიმების შესახებ;

ო) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

2. სამმართველოს წერილობითი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელი ყველა პირისათვის.

3. სამმართველოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი უზრუნველყოფს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევას და „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს (შემდგომში – ოქმი), რომელიც იმავდროულად წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, ამასთან, მინიჭებული აქვს ხარისხის დაცვის მეორე კატეგორია – „დაცული“. ოქმის ერთი ეგზემპლარი რჩება სამართალდამრღვევს, მეორე კი ეგზავნება დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის სამმართველოს უფლებამოსილ პირს.

4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით ითანამშრომლოს სამმართველოსთან და სამმართველოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთან.

მუხლი 4

1. სამართალდარღვევის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში დაუშვებელია იმავე სამართალდარღვევაზე ოქმის განმეორებით შედგენა. ოქმში დაფიქსირებული დარღვევის გამოსწორება არ ათავისუფლებს პირს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან.

2. ოქმი და მასზე თანდართული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს, დაუყოვნებლივ ეგზავნება განსახილველად სამმართველოს იმ უფლებამოსილ პირს (შემდგომში – უფლებამოსილი პირი), რომლის კომპეტენციაშიც შედის დაჯარიმების შესახებ ბრძანების გამოცემა. *(3.04.2017 N 172 გავრცელდეს 2017 წლის 20 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

3. უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევას და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - დაჯარიმების შესახებ ბრძანებას (შემდგომში - ბრძანება), რომლითაც სამათალდამრღვევს დაეკისრება “კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა (ჯარიმა).

4. “კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორი ან ორზე მეტი მოთხოვნის დარღვევისას ოქმი და ბრძანება უნდა შედგეს/გამოიცეს თითოეული დარღვევისათვის ცალ-ცალკე.

მუხლი 5

1. იმ შემთხვევაში, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილმა პირმა გადაწყვეტილება ბრძანების გამოცემის ან მის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ უნდა მიიღოს ოქმის შედგენიდან ერთი თვის ვადაში. ბრძანების გამოცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილება (შემდგომში - გადაწყვეტილება) უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ეცნობოს იმ პირს, რომლის მიმართაც შედგა ოქმი.

2. ბრძანება/გადაწყვეტილება სამართალდამრღვევს ოფიციალურად გაეცნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 6

ბრძანების გასაჩივრების შემთხვევაში მისი აღსრულება შეჩერდება საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან, საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ან გასაჩივრებულ ბრძანებასთან დაკავშირებით მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებამდე.

მუხლი 7

1. “კერძო დაცვითი საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბრძანებით სამართალდამრღვევს განესაზღვრება ვადა დარღვევის გამოსწორებისათვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.

2. დადგენილ ვადაში სამართალდარღვევის გამოუსწორებლობა, “კერძო დაცვითი საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გამოიწვევს ჯარიმის ოდენობის გასამმაგებას. აღნიშნულთან დაკავშირებით წინამდებარე წესის თანახმად დგება ოქმი, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ბრძანება.

3. ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდისგან თავის არიდების შემთხვევაში ჯარიმის აღსრულება განხორციელდება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

მუხლი 8 (3.04.2017 N 172 გავრცელდეს 2017 წლის 20 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული დაჯარიმების შესახებ ბრძანება მიღებიდან/გამოცემიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში ინიციატორის (დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირი) მიერ უნდა აისახოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემთა ბაზაში სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. აღნიშნულ პროგრამაზე წვდომა განხორციელდება ერთჯერადი რიცხვითი პაროლის გენერირების მოწყობილობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000000

1. _____ 2. _____
ოქმის შედგენის თარიღი ოქმის შედგენის ადგილი

3. შემოწმების განხორციელების საფუძველია “კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონი.

4. _____
დანაყოფის დასახელება

5. _____

ოქმის შემდგენი უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა

6. _____

დაცვითი ორგანიზაციის, ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელწოდება და იურიდიული მისამართი

7. _____

დარღვევის გამოვლენის ადგილი

8. შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის სამართალდარღვევა _____

სამართალდარღვევის არსი

9. _____

კანონის შესაბამისი მუხლი, პუნქტი და ქვეპუნქტი, რომლის მოთხოვნაც დაირღვა

10. _____

მტკიცებულებათა ჩამონათვალი

11. მოწმის სახელი, გვარი და მისამართი:

ა) _____
ბ) _____

გ) _____
აღნიშნული გრაფა ივსება მოწმის არსებობის შემთხვევაში

12. _____

სამართალდამრღვევის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა

13. _____

ოქმის შემდგენი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამამზადებელი:

დამკვეთი:

სფს-რეგისტრაციის №

დანართი № 2

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის
დეპარტამენტი**

უფლებამოსილი დანაყოფის დასახელება

20__ წლის “ “ _____

**ბრძანება
დაჯარიმების შესახებ**

კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შემოწმდა _____

დაცვითი ორგანიზაციის, ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელწოდება და იურიდიული
მისამართი

შემოწმებული დაცვითი ორგანიზაციის ლიცენზიის ნომერი ან/და იურიდიული პირის
საიდენტიფიკაციო კოდი
(თუ დარღვევა ჩადენილია დაცვითი ორგანიზაციის ან იურიდიული პირის მიერ)

ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და პირადი № ან პასპორტის
ნომერი (თუ დარღვევა ჩადენილია ფიზიკური პირის მიერ)

დარღვევის გამოვლენის ადგილი

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის სამართალდარღვევა _____

სამართალდარღვევის არსი

შემოწმების ოქმის თარიღი და ნომერი _____

დაირღვა _____

კანონის შესაბამისი მუხლი და პუნქტი, რომლის მოთხოვნაც დაირღვა

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, “კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე და 25-ე მუხლების და “კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლის განხორციელების და პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის _____ № ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. _____
სამართალდარღვევის სახელწოდება (სახელი და გვარი)

დაეკისროს ჯარიმა _____ ლარის ოდენობით.

2. სამართალდამრღვევი ვალდებულია ერთი თვის ვადაში გადაიხადოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა. აღნიშნული ვადა აითვლება ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობის მომენტიდან. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმის ამოღება განხორციელდება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. სამართალდამრღვევს უფლება აქვს აღნიშნული ბრძანება მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს _____

ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრდეს აღნიშნული ბრძანება და მისი მისამართი

4. სამართალდამრღვევი ვალდებულია აღნიშნული ბრძანების ოფიციალურად გაცნობიდან არა უგვიანეს _____

დროის მონაკვეთის მითითება

უზრუნველყოს სამართალდარღვევის გამოსწორება.

5. სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საბანკო დაწესებულების მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტის შემდეგ ანგარიშზე: _____

6. სამართალდამრღვევმა ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოს ამ ბრძანების მეორე პუნქტში აღნიშნული ერთთვიანი ვადის გასვლამდე.

7. ბრძანების დამოწმებული ასლები 10 სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიტიკის სამმართველოს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

დანართი N3 (31.12.2013 N1004)

კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლის ნიმუშებისათვის დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები

კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლის ნიმუშები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1. უნდა იყოს დაყოფილი წელიწადის დროების მიხედვით პლანშეტების სახით;

2. უნდა მიეთითოს მცველის ფორმის ტანსაცმლის ფერი და სტილი;

3. თვალსაჩინო ადგილას კონტრასტული ფერით ფორმის ტანსაცმელზე დატანილი უნდა იყოს კერძო დაცვითი ორგანიზაციის ლოგო/ემბლემა;

4. მითითებული უნდა იყოს კერძო დაცვითი ორგანიზაციის დასახელება ქართულ ან ინგლისურ ენაზე.